

მშენებელი მათრასი

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 32

საშობაო მისალოცი.

მძიმე ლოდანთ მაწვა გულზე მწარე მოგონება
შობის მოახლოებისა.

— რა მივულოცო, რა ვახარო ჩემს მკითხველებს ისეთი, რამაც გულს სიამე მოჰფინოს და სული დაუმშვიდოს მეთქი.

ვფიქრობდი, ვფიქრობდი და უიმედო სასო-წარკვეთილებას ვძლეოდი.

დღეს კი მძიმე ლოდი მომწყდა, როგორც შემოდგომით ხეს ყვითელი ფოთოლი. მე ვიცი რა მოგილოცოთ, რა ვახაროთ და რით გასიამოვნოთ.

ბატონებო!

გასულ შაბათს უკვე დასრულდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრებები! მე ვიცი რამდენათ სასიამოვნოა ეს ცნობა იმათთვის, ვინც იძულებული იყო კრებას დასწრებოდა, მით უმეტეს თუ იგი საქმის კაცია! მაშ ასე, კრებებს ბოლო მოელო!


საზოგადოების წევრებმა უკვე იციან, რომ ყოველივე ის, რაც აღნიშნულ კრებებზე თითქმის, განურჩევლად სქესისა, მიმართულებისა, ზომისა და ღირებულებისა, იწყება ცალკე ოქმებში და ინახება მომავალი თაობისათვის. ეს ჩინებული წინდახედულობაა, მაგრამ სამწუხაროთ,

წინდახედულობა ცალ-მხრივი.

მე ესცადე (და ვსთხოვე პატივცემულ საზოგადოებას პირველი ცდისათვის ნუ დამძრახავს,) ესცადე შემევსო ეს ცალმხრივობა და რამდენათაც ნებას მაძლევს ჩემი ახლად გაფურჩქვნილი მხატვრული ნიჭი, უკვდავ ვყავ ამ დაუსრულებელ კრებათა მთავარი მომქმედი პირნი:

აქედანვე ვაცხადებ, რომ მე მოვექიდე მძიმე საქმეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მამხნევებდა და მანუგეშებდა ის აზრი, რომ ჩემი მოქმედება გამოწვეული იყო საშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულით და არა მეტიჩარაობით, ან სხვა რაიმე ბოროტი განზრახვით.

თქვენს წინაშე გადაშლილი ვრცელი ილიუსტრაცია მოწმობს იმ თავგანწირულებას საქვეყნო საქმისადმი, რომლითაც თამამად შემოძლია ვიამაყო. საჭიროა ყველა თქვენგანმა იცოდეს, რომ თითოეული პატივცემული თავი, ასე მშვენივრად და მოხდენილად გამოხატული, ნაყოფია ჩემი გატეხილი ღამეებისა და გამოღამებული დღეების მძიმე შრომისა.



პატივცემული თავმჯდომარე საზოგადო კრებისა, დავით კარიჭაშვილი, ერთობ ხათრიანი კაცია. თითონაც ბლომად ლაპარაკობს, მაგრამ სამაგიეროდ არც სხვებს უშლის ლაპარაკს. უნდა გამოტყდე და ვაღვიარო, რომ ჩემს სურათზე იგი ცოტა უფრო ლამაზად არის გამოსული, ვიდრე


ორიგინალში, რაიც ყოველ შემთხვევაში დანაშაულად არ უნდა ჩამეთვალოს. აღნიშნულ პორტრეტზე ვიმუშავე სრული სამი დღე და ორ ნახევარი ღამე.

დახარჯულ უზომო შრომისა, ბევრად ჩამოუვარდება ორიგინალს, რისთვისაც ბედნიერად ვიხსენი.



მდივანი საზოგადოებისა და აგრეთვე საზოგადო კრებებისა, ვარლამ ბურჯანაძე, ჩემის აზრით თავისი თანამდებობის მწვერვალზე მდგომათ უნდა მივიღოთ. როგორც ხმა, აგრეთვე გამოთქმა და პოჩერკი მას უაღრესად მდივნის შესაფერისი აქვს. ჩემის აზრით ბ-ნი ბურჯანაძე დიდი თანაგრძობის ღირსია ჩვენი მკითხველების მხრივ, ვინაიდან მხოლოდ ის, (როგორც მდივანი) ვალდებულია კრებაზე ყველა მოლაპარაკეს ყური უგდოს და მათი ნათქვამი დასწეროს. ერთი შეხედვით ეს თითქო არაფერია, მაგრამ....

მოგეხსენებათ, ყოველ მიმართულებასა და დაწესებულებას ყავს თავისი „მძიმე არტილერია“. ჩვენს გამგეობაში აღნიშნულ როლს ბ-ნი გ. ლასხიშვილი ასრულებს. როცა დასანგრევია საზოგადო კრების ესა თუ ის სიმაგრე, გამგეობა უკანასკნელად გ. ლასხიშვილს მიჰმართავს, ხოლმე და თუ ამანაც ვეღარაფერი გააწყუო, აშკარაა ბრძოლა წაგებულთა. ასე მოხდა მაგალითად ილიასეული მამულის გაყიდვის საკითხზე. ჩვენს სურათზე ბ-ნი ლასხიშვილი ცოტა მომღიმარეთ გამოვიდა. სურათი ორი ნახევრისაგან შესდგება: წინა და უკანა. წინა მხარე (ფასადი) ცოტად თუ ბევრად ჰგავს ორიგინალს, ხოლო უკანა ნაწილი ვერა, თუმცა ამ მხარეს არცა აქვს ამდენი მნიშვნელობა საქმიანათვის.



გასულ წელს, როცა საქართველოში ემანსიპაციამ ფეხი მოიკიდა, გამგეობის წევრთა შორის არჩეულ იქმნა ქ-ნი ნინო ნაკაშიძე. წლებადღელ კრებებზე მან რამოდენიმეჯერ ილაპარაკა, მეტადრე სექციათა შორის ატეხილ საკითხზე, შესახებ კორექტურისა. ჩვენი სურათი, მიუხედავად მასზე

უნდა გამოვტყუდე, რომ არავისზე იმდენი შრომა არ მიმიძღვის, რამდენიც ბ-ნი გ. რცხილაძეზე. მიზეზი ამისა არის უმთავრესად წვერის მოპარსუ-

ლობა და აგრეთვე შევგრემანი სახე. თუ ბ-ნი ლას-
ხიშვილი 42 სანტიმეტრიან ზარბაზნათ ჩაითვლება,
გ. რცხილაძეს თამამად შეიძლება დაეთმოს მეორე
ალაფი.



თავმჯდომარე სასკოლო სექციისა, ლუარსაბ
ბოცვაძე, (სურათზე ცოტა ახალგაზრდათაა) კარგ
იმედებს იძლეოდა პირველს ორ კრებაზე, მაგრამ
შემდეგ ავით გახდა და დანარჩენ კრებებს აღარ
დასწრებია, რამაც საგრძნობლათ შეუწყო ხელი
ასე მალე კრებების დამთავრებას. თითი, რომელიც
მოსჩანს სურათის მარჯვნივ, გაშვებულია ბ-ნ თ.
კიკვაძისაკენ და შეეხება იმ მომენტს, როცა ლ.
ბოცვაძე ანგრევდა გამომცემელი სექციის პოზი-
ციებს.




თავმჯდომარე საგამომცემლო სექციისა ბ-ნი
თ. კიკვაძე გადაღებულია იმ დროს, როცა ანგ-
რევს სასკოლო სექციის სანგრებს. მეორე კრების
შემდეგ ბ-ნი კიკვაძეც სამწუხაროთ ავად გახდა და
აღარ გვინახავს.



ბ-ნი გიორგი ცინცაძე სულ ახლო ხანში გა-
მოვიდა საზოგადო სარბიელზე და დიდს იმედებს
იძლევა. კრებებზე მხოლოდ ორჯერ გვექონდა ბე-
დნიერება მოგვესმინა მისი სიტყვა: ერთხელ წა-
კითხვით და მეორეჯერ ზეპირი. მისი წინადადების
თანახმით გადაიღო ომის გათავებამდე დავა მუზე-
უმის შესახებ. ხმა ბოხი და დაბალი აქვს.




გამგეობის წევრი შიო ღვდამბრიშვილი პირ-
ნათლად ესწრებოდა თითქმის ყველა კრებას, ვარ-
და უკანასკნელისა. კამათში მონაწილეობა არ მი-
უღია.



ცნობილი კრიტიკოსი იბ. ვართავავა, თითქ-

მის არც ერთ კრებას არ დაჰკლებია, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღია მსჯელობაში. შეიძლება ეს მრავალნაირად აიხსნას, მაგრამ ჩვენის აზრით ის კრიტიკოსია სიტყვა-კაზმული ლიტერატურისა და არა გამგეობის მოქმედებისა. სურათზე გვარიანათ არის გამოსული.




პატივცემული პოლიკარზე კიკალაშვილი ჩვენს სურათზე ძლიერ მოიკოჭლებს. ბოდიში, რასაკვირველია საქმეს არ უშველის, თორემ დიდი სიამოვნებით მოვიხდით. ცოტა მსგავსებას ორიგინალთან ჰქმნის სწორი და გრძელი უღვაში, ნიკაპის წვეროზე გამოკვეთილი ბულაანე და შუაზე გადავარცხნილი თმა. კამათში ბ-ნ კიკალეიშვილს მონაწილეობა არ მიუღია, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეეწყო კრების ამ წელში დამთავრებისათვის, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

ამით დავასრულე გამგეობის წევრთა კრებული. სამწუხაროდ ამ კრებულს აკლია პატივცემული თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, რომელიც პირველი კრების შემდეგ ავითმყოფობის გამო სხდომებს აღარ დასწრებია.


ახლა გადავდივარ კრების მიერ წამოყენებულ ორატორებზე. აქ ჩვენ შეგვეძლო არა ერთი და ორი პიროვნება დავგესურათებია, მაგრამ აუტანელმა შრომამ ისედაც მოსტეხა ჩემი ჯანმრთელობა. მე ველარ შევძელი დასახული მიზნის განხორციელება. ამიტომ იმეღია მომიტევებთ, თუ მხოლოდ სამიოდ პირს დავასახელებ ურიცხვ მოლაპარაკეთაგან. აგრეთვე იმეღი მაქვს მაპატიებენ თვით ორატორნი, რომელთაც სრული უფლება ჰქონდათ ჩემი ყურადღება დაემსახურებიათ.



გრ. ბურჭულაძე, მეთვალყურე საზოგადოების სკოლებისა, პირველათ გამოვიდა საწევრო ფულის შემცირების საკითხში. ის ერთიანად სოფელს მიემხრო. მისი აზრით სოფელთათვის საწევრო ფული მანეთამდე უნდა შემცირებულიყო, ხოლო ქალაქელთათვის დარჩენილიყო უცვლელად (3 მან.). მისი აზრისა კრებაზე არავინ გამოდგა, რაიც ნათლად მოწმობს ორატორის სრულს ორიგინალობას.



ცხარე და გატაცებული მოლაპარაკე გ. იმნაიშვილი უკიდურეს აღელვებამდე მივიდა სექციათა შორის ამტყდარ დავის დროს. თუ არ ვცდებით საწევრო გადასახადის შემცირების საკითხში იმანაც სრულიად ორიგინალური საკითხი წამოაყენა სახელდობრ: მისი აზრით სამი მანეთი უღრის საწევრო ფულს. ვინც ერთ მანეთს გადაიხდის იმას მიეცემა ერთი მესამედი ჰმა და სხვ. წარმოიდგინეთ არც ამ აზრისა აღმოჩნდა კრებაზე ვინმე გარეშე ავტორისა.



შემდეგ დავტოვოთ ხმელეთი,
 მივიდეთ წყლისა პირადა. გიზლირთქა
 საომრადაა კარგი რამ,
 გემებს უვებენ მახესა;
 ჯავშნოსანს იგი პატარა,
 წყალქვეშ უჩვენებს სახესა..

შუა გავკვეთოთ, და კუდი,
 პირველს ავკიდოთ კარადა.
 (ალარსად გინდათ სირბილი
 ამით გათავდა შარადა).

რეკეკე-როკოკო.



დავით ხართიშვილი, ეს ერთი იმ ორატორ-
 თავანია, რომელთაც ბედი არა სწყალობს. ყური
 რომ დაუგდო ბევრში კიდევაც შეიძლება დაეთან-
 ხმო მას, მაგრამ კრებაზე იშვიათია მსურველი ყუ-
 რის დაგდებისა... ეს აიხსნება უმთავრესად ლაპა-
 რაკის კილოთი და სიერციით. საჭიროა ორატორ-
 მა ამ ორ გარემოებას მეტი ყურადღება მიაქციოს,
 რასაკვირველია არა იმ აზრით, რომ მიუმატოს
 პირველსაც და მეორესაც.

ამით ვათავებ ჩემს მოლოცვას. ამასთან უმარ-
 ჩილესადა ვთხოვ მწერლებსაც და მხატვრებსაც,
 მეტის ლმობიერებით მოეპყრან ამ ჩემს ახალ ნა-
 წარმოებს.

დასასრულ სულითა და გულით გისურვებთ
 მრავალს დასწრებოდეთ ამგვარ ღღესასწაულს, ხო-
 ლო წ. კ. კრებებს თუნდა სულაც ნუ დაესწრებით.
 ეშმაკი.

მ მ რ ა ლ ა

თუმცა შარადის წერასა,
 არა გახლავარ ჩვეული;
 მაგრამ ღღეს ფიქრი მეწვია,
 ცხოვრებით გამოწვეული
 და აჰ, ინებეთ, რცანით,
 ჩემგნით არ იყოთ ძლეული...

ღროს მეოთხედი გაგვეინავს,
 თეთრებს ჩავვაცემეს ხშირად;
 სიცივით ავვაწაკწაკებს,
 მიგვაფენს ბუხრის ძირადა.
 ამას, ორ ანბანს წავკვეცავთ—
 სხვა ჩვენ არ გვიღირს ძვირად;

მესტვირული.

(ბ—თვას).

დაუკარ ჩემო ქამანჩა,
 კიდევ ელია, მელია
 (თუ რომ დაწერა შევძელი
 საწერი უღეველია),
 დაუკარ სანამ ეს გულა
 არ დახეულა, მთელია...
 ხე გამოვქარი წყვილადა,
 გულაზე მოსაბმელია,
 შევარგე ერთი მეორეს,
 შიგ ჩაწყობილი ლელია,*)
 ქარახსი ვერცხლით შევჭედე,
 (ძვირფასი საქონელია!)

*) ლელი—ღერწამია.

ჩაზბერე, და ხმა საამო
მომცა, ტკილი და ნელია, —
დაუკარ ჩემო ქამანჩა,
ოდელა, დელი დელია!??

საამდროისო შაირი
არ მეხერხება, ძნელია, —
რომელი ერთი ვიტყო,
ერი, ბერი, თუ ღვდელია,
უკულმა შემოტრიალდა
ყოველი ადრინდელია, —
შეშმარიტებათ საღდება
ქორები გუშინდელია.
ადრე ვინც ჯვართ ვიდოდა
დღეს იგი გამყიდველია;
ვინლა კითხულობს შენს ამაგს,
რა გაქვს, ან რა დაგელია.

(გარნალა ეგე ამბავი
არ ახალია, ძველია).

ახლა სიმართლის დადადი,
ბრალდების საფუძველია.
წრფელი გული და გონება
აქ სანთლით საძებნელია.
დასწყევლოს მისმა ეშმაკმა,
სოფელი რა რიგ მქნელია:
მტრელი დამჯდარა მაღალზე
და საქმის გამგებელია;
ქურდი შემჩნევას იძლევა,
ვისი წარსულიც ბნელია,

ეროვნულ საკითხს ჯიბგირი
არჩევს, ეგ წუწვი მელია.
ვინც ქართულს შორით გაურბის,
რომ ჰკითხო ის ქართველია;
ყრუ დარაჯობას კისრულობს,
ხოლო ბრმა დამნახველია;
ქვეყნის გამღლეტი იკვების
ვითომდაც იგი ქველია;
გახრწნილი, გულ გაღვლილი,
ასწავლის, გამწურთვნილია.
აწ სხვა რა მეთქმის: პილატებრ
დამიბანია ხელია!

ან კი რას ელი მუნიდან,
სად მეფობს კაცთა წვალემა,
სადაც საქვეყნო საკითხი,
კერძო ჟინს ენაცვალემა,

სადაცა დანაშაული
ადვილათ დაიმალება.
სად სიამაყე ერისა
ჰა, მოკვდის, ეგანგალება
და საჯდომს სათბილ ადგილოს
მოყვრობა ესაშვალემა.

ა. ბლიკვაძე.



ახალი „დოკუმენტი“

დაუშრეტელი და დაუღალავი მოღვაწე „ზვირ-
თისა“ და „სახალხო ფურცლისა“, თვედორე
დლონტი, სწორედ მეცხრე ცაზე იმყოფებოდა.
მართალია ჩვენს ქვეყანას ათასი ჭირ-ვარამი აწევს
გულზე, მაგრამ არის რაღაც ისეთი, რომელიც
ყოველგვარ უბედურებას ავიწყებინებს და სიხა-
რულით ათრობს მას.

ეს გახლავთ ერთი „ახალი დოკუმენტი“ ქარ-
თველ სოციალ-დემოკრატიკა შორის უთანხმოება —
განხეთქილებისა. ეს ეს არი მიიღო მან ძვირფასი
წერილი, თითოეულად უკვე წაუკითხა ყველა წევრს
„ეროვნულ მუშათა“ პარტიისას, მაგრამ გული მა-
ინც ვერ დაიკმაყოფილა და მეექვსედ შეუდგა კი-
თხვას.

ავტორი წერილისა, აწ გაეროვნებული მუშა
სიკო ხშიადი, ძვირად პირველი სოციალ-დემოკრატი
იყო ახლა შეიგნო სრული ჭეშმარიტება, გამოეთიშა
ძველ „ამხანაგებს“ და ახალ „მეგობრებში“ ჩაე-
რიცხა. ვინ უნდა იცოდეს მასზე უკეთ ყოველივე
წვრილმანი პარტიული უთანხმოებისა? რასაკვირ-
ველია არავინ.

„ბ-ნო რედაქტორო! სწერს სიკო ხშიადი, —
მსურს გაუწყოთ, რომ მე ჩემი სოფლის შეხედუ-
ლობა გამოვიცვალე. მე ვარი ვუთხარი სოციალ-
დემოკრატიულ იდეალს და მის მოძღვრებას, რის
გამო დავადექი ფედერაციულ მცნებას. მე მგონი



ეს ჩემთვისაც და თქვენთვისაც უფრო სასარგებლო იქნება.

მაშ მომისმინეთ. ჩვენს გაზეთ „ზვირთში“ ხშირად წერავთ იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც გაღვიძებულია ჩვენებურ მარქსისტებთა შორის, მაგრამ თქვენ არ იცით არც მესამე იმისი, რაც იქა ხდება. ამიტომ გთხოვ ეს წერილი ან მე დამიბეჭდო, ან თქვენ თითონ ისარგებლოთ მით და რამოდენიმე ფულეტონი უძღვნათ.

შარშან ერთი ქუთათური ს.-დემოკრატიის სადილათ იყვენ ყველა ლიდერები. მეც ვიყავი. სადილის დროს ჩამოვარდა ლაპარაკი საქმელების შესახებ. ბნმა ფ-ნმა სთქვა:

— ჩემის აზრით „საცივი“ ერთი უკეთეს საქმელთაგანია ჩვენს ქვეყანაშიო.

— კარგი იქნებოდა, რომ კუქს არა სწყენდესო, დასძინა ბნმა ხ-ნმა — ჩემის აზრით „საცივი“ გემრიელია, მაგრამ თანაც მავნებელი.

— ქართულ საქმელებში პირველობა უთუოდ „ხარშოს“ ეკუთვნის მეთქი, წარმოვსთქვი მე ჩემი შეხედულობით. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ბ-ნმა ზ-ნმა.

— ხარშო და საცივი ისე შორი შორს არიან, როგორც ცა და დედამიწაო, ავტორიტეტულად წარმოსთქვა მან.

— ჩვენებური საქმელი, თითქო, განზრახ კუქის მოსაშლელად არის მოგონილი... საქმელი აი რუსული ბორ'შია... გემრიელიც და მარგებელიც, ურცხვათ წარმოსთქვა ყოველივე ქართულის უარყოფელმა თ-ნმა.

— ასეთი მსჯელობა არ ეკადრება საქართველოს შვილს მეთქი, გაცხარებით მივუგე მე.

მთელი საათი გასტანა ამ საგანზე კამათმა და აშკარათ გამოირკვა სრული უთანხმოება, ერთი აზრის უქონლობა და საზოგადოებით რომ ვსთქვათ განხეთქილება აზროვნებაში.

შემდეგ კამათი სასმელებზე გადავიდა.

— ღვინოს, თუნდაც კახური იყოს, სისმელათ ლუდი მირჩევნია და მე გონია უფრო სასარგებლოც უნდა იყოს; წარმოსთქვა ლ სმა.

— არა, ამხანაგო, ღვინოსაც თავისი გემოვნება აქვს. ლუდი მხოლოდ წყურვილის მოსაკლავი სასმელია და საქეიფო შნოსა და უნარს მოკლებულია. წარმოიდგინე მაგალითად ქორწილი ლუდით. შენიშნა ფ-მა.

— ამ შემთხვევაში ერთი გარკვეული აზრისა და შეხედულების გამოტანა თითქმის უწყვეტია ლია, ჩაერია ლაპარაკში ჩ-ნი, — მე მაგალითად კვასი ყველას მირჩევნია.

— სსმელად ღმერთს გაუჩენია კარგი ცივი და კანკალა წყაროს წყალი! სხვა ყველაფერი კაცი მოგონილია და ჩემის აზრათ საქიროც არ იყო მათი მოგონება წარმოსთქვა შ-ნმა.

— საქირო თუ არ იყო, მაშ რიღასათვის სცლი ამ სავსე ქიქებს? მოართვით ბ-ნ შ-ნს გრათინკით ცივი წყალი, გესლიანად შევნიშნე მე.

ამ საგანზედაც კარგა ხანს გაგრძელდა კამათი. მრავალი აზრი გამოითქვა, რითაც აშკარად გამოჩნდა, თუ რა შეურიგებელი უთანხმოება არსებობს ჩვენებურ ესდეკთა შორის. მართალია კითხვა ისე არ გამწვავებულა, რომ „რასკოლამდე“ მისულიყო საქმე, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას არც ბევრი დაჰკლებია.

„ეს ამბავი უფრო დიდი ხნისაა. სახელდობ, 1912 წელს, ერთ კრებას დავესწარ. ამ თათბირზე უნდა გადაწყვეტილიყო აგარაკ ხრიოკეთზე მიმავალი ახალი გზის მიმართულება. როგორც ხედავთ საკითხი პრინციპიალურია და ვეცდები სიტყვა-სიტყვით აღვადგინო მაშინდელი მსჯელობა ჩვენი ლიდერებისა.“

— თავმჯდომარის მოხსენებიდან აშკარად სჩანს, დაიწყო დ-ნმა; რომ გზას უნდა ჰქონდეს სპეციალური ხასიათი. იგი დანიშნულია პირდაპირ აგარაკ ხრიოკეთისათვის. მე ამ აზრს სავსებით ვერ დავეთანხმები, ვინაიდან აგარაკი, როგორც განყენებული რამ ჩვენთვის არც იმდენად საინტერესოა. ჩემის აზრით, რაკი გზა გავყავს, სახეში უნდა ვიქონიოთ ის ადგილებიც, სადაც ეს გზა გაივლის. ამიტომ გზის სიგრძემ არ უნდა შეგვაშინოს, თუკი საყურადღებო უბნებსაც ჩავიყოლიებთ შიგ.

— ერთის შეხედვით ამ. დ-ნის სიტყვები მართლაც რომ ჰქმნარტებას შეიცავს, მაგრამ თუ მას რიგანათ ჩაუკვირდებით შევნიშნავთ ბევრს ნაკლს, რომელსაც არ შეიძლება ფარდა არ ავხადოთ. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ ყველა საყურადღებო ადგილს მივადექით, რომელიც კი ხრიოკეთზე ასვლამდე შეგვხვდება, ეს ძლიერ შორს წავვიყვანს. მაშინ სეზონის დასაწყისში რომ გავემგზავროთ საჭაეროთ გათავებამდე ვერც ავაწევო და გზიდან დაბრუნება მოგვიხდება. ექვს გარეშეა ამ შემთხვევაში ჩვენ

მხოლოდ ხრიოკეთის კერძო ინტერესებით უნდა ვინებოდნენ, განმარტა თ-ნმა.

— მე ყოვლის უწინარეს უნდა აღვნიშნო, დაიწყო მ-ემ, რომ არ ვეთანხმები არც ერთს ჩემს უწინარეს მოლაპარაკეს. ჩემის აზრით გზის გაყვანის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ გზის ინტერესები. გზა უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე. აი ჩვენი მიზანი.

— ერთობ შემცდარ შეხედულებათ მიმაჩნია ამ. მ—ედის აზრი. როგორ შეიძლება გზა ჩვენ მიზნად დავისახოთ, როცა გზა საშვალეა მხოლოდ, რომლითაც ჩვენ გვინდა მივალწიოთ მიზანს—ავარაკ ხრიოკეთს. წარმოსთქვა ტ—ამ.

— აქ სხვა მხარეც არის უფრო საყურადღებო, შენიშნა კ—ემ. გზა მოკლე იყოსო რომ ბრძანებენ, ეს ჩინებულია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე გზის სივსკე. თუ ცხენმა, ან ურემმა ვერ გაიარა ისეთი გზა რა ეშმაკათ გვინდა.

ერთი სიტყვით, ბ-ნო რედაქტორო, რამდენი კაციც იყო იმ კრებაზე, სწორედ იმდენი აზრი გამოითქვა. მე მაშინ ძლიერ მწყინდა ასეთი უთანხმოება პარტიაში, მაგრამ სამაგიეროთ ახლა სასიხარულოდ შემეცვალა მაშინდელი მწუხარება. სრული რეზორგანიზაცია, დაქსაქსვა და უთავბოლოება გამეფებული აღნიშნულ პარტიაში. დავასახელებ კიდევ ერთ მაგალითს.

ეს სულ ახლანდელი ამბავია. მე ზოგიერთმა ყოფილმა ამხანაგებმა სამხანაგო ფულის გაფლანგვა შემომწავეს და პარტიული სასამართლო დამინიშნეს. თექვსმეტი კაცი დავსწრო საქმის განხილვას.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი სიურცხვე, როგორც გამოიჩინა ბ-ნმა სიკომ სამხანაგო ფულის ხარჯვაში, ყოვლად მიუტავებელი და შეუწყნარებელია, დაიწყო თავმჯდომარემ. იმას უკანტროლოდ უწარმოებია ანგარიში აგერ მეხუთე წელიწადია და ის ნდობა, რომლითაც იგი აღკურვეს ამხანაგებმა ვერაგათ გამოუყენებია; კასსას აკლია 216 მან. და 71 კაპ. აქ ცხადათა სჩანს ბოროტი განზრახვა, რისთვისაც ის უკველად გაძევებულ უნდა იქნას ჩვენი წრიდან.

— მართალია, ყოველი დანაშაულობა სასჯელის ღირსია, წარმოსთქვა ჯ—ამ, მაგრამ ჩვენ სხვა მხრივაც უნდა შევხედოთ საქმეს: თავმჯდომარე ძლიერ სასტიკ მსჯავრსა სდებს ბ-ნი სიკოს მოქმედებას.

ჩვენ შეგვიძლია გადავხედვინოთ დამნაშავეს გუფლანგული თანხა და თითონ მას გუფლანგული და გაფრთხილება გამოუცხადოთ.

— ჩემი შეხედულება, დაიწყო ყ—მა, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება აქ გამოთქმულ მოსაზრებათ. თუ ბ-ნმა სიკომ ფული ბოროტის განზრახვით დახარჯა, იგი ღირსია სასტიკი სასჯელის, ხოლო თუ ფაფლანგვა უცოლინარობით არის გამოწვეული, მაშინ მას მხოლოდ საყვედური ეთქმის.


— მე ვფიქრობ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, დაიწყო შ-ამ; არც ერთი ორატორი კითხვას ისე არ აყენებს, როგორც ეგ საჭიროა. ჩემის აზრით ჩვენ უნდა გავარკვიოთ ის პირობები, რომელშიაც ფულის გაფლანგვა მოხდა. შეიძლება ეს პირობები ისეთი აღმოჩნდეს, რომელიც თავისთავად შეამსუბუქებს ან გაარღმავებს დანაშაულს.

ილაპარაკა თოთხმეტმა კაცმა და ყველანი სხვა და სხვა შეხედულებისა გამოდგენ. ახლა თქვენ განსაჯეთ, ბ-ნო რედაქტორო, თუ რაგვარი უთანხმოება უნდა იყოს იმ პარტიაში, რომელიც ასეთი ჭრელი ხალხისაგან არის შემდგარი. მართალია მე გამამტყუნეს და გამომრიცხეს თავიანთ წრიდან, მაგრამ მე მაინც კარგა ხანია ვგრძობდი, რომ იქ გული არ მიმიწევდა, ხოლო ამ ბოლო დროს პირდაპირ აუტანელი გახდა ჩემი იმათთან შეთანხმება.

თქვენი გაზეთი „ზვირთი“ პირდაპირ ჩემს აზრს გამოსთქვამს. როცა ვკითხულობ გულს მალამოდ ედება და სულს მიტკობს. მე შემეძლო ასეთი დოკუმენტები სოციალ-დემოკრატთა მორის განხეთქილების შესახებ მილიონობით დამესახელებია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. იმედი მაქვს სასარგებლო წევრი გავხდე თქვენი „ეროვნულ-სოციალისტურ-ფედერალისტური“ პარტიისა, მისი მოტრფიალე სიკო ხშიადი“.

თედორე ლლონტმა უკვე დაიშადა ქალღი და მეღანი, რომ ხუთიოდ ფელეტონი „ზვირთისთვის“, ხოლო ცხრა „სახალხო ფურცლისთვის“ დასწეროს: „კიდევ ერთი დოკუმენტის“ შესახებ.

ეშმაკი.





„სახალხო ფურცლის რედაქციაში“: ცოტა მოუმატეთ წყალს, თორემ ზვირთი დაცხრება.



„ზვირთის“ რედაქციაში: შეხედე ბიჭო ეს ჩვენი გემი როგორ ნაზად ირხევა ზვირთებზე.

ნუთუ მართალია?

„ნუთუ მართალია?“

დაბეჯითებით გავიგეთ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის შენობის ერთ-ერთ ქართველ მოიჯარადრეთაგანს ჰსურს ამხანაგათ უცხო ტომის ადამიანი გაიხადოს.

ჩვენ არა გვჯერა ეს ამბავი, არა გვჯერა იმიტომ, რომ ჯერ ისე არ წავხდარვართ, რომ ქართველთა შორის აღარავინ მოგვეპოვებოდეს სანდო და გასაამხანაგებელი...?“

(„საქართველო“ № 161)

ღმერთმა დიდი ღღე მისცეს ზემოთ ამონაწერის ავტორს ქართლელს და ღმერთმა ნუ მოუშალოს მას „საქართველოს“ რედაქცია. რამდენი რამ მომაგონა მისმა მკვეთრმა და მამულიშვილური გრძნობით აღტყინებულმა წერილმა. რამდენი უკუღმართობა, რამდენი ეროვნული ღალატი რჩება ჩვენში გამოუშვლადნებელი, რამდენი უსინდისო და შუბლგარეცხილი ატარებს მამულიშვილის წმინდა სახელს, მაგრამ მას არ სცხია მამულიშვილის არაფერი. აი მაგალითად: მე დაბეჯითებით გავიგე, რომ ერთსა და ორს კი არა რამოდენიმე ას ქართველ მამულიშვილს ცოლად შეურთავეს (ყველას ერთი კი არა არამედ თითო თითო) უცხო ტომის ადამიანი და ცხოვრების საუკუნო ამხანაგად გაუხდია. ჩვენ ეს ამბავი არ გვჯერა, არ გვჯერა, რადგან ჯერ იმდენზე არც წამხდარვართ და არც გადავშენებულვართ, რომ ჩვენში არ მოიპოვებოდეს ქართველი ქალი სანდო და საცოლოთ გამოსადეგი.

ჩვენ გავიგეთ (ჩვენის თვალით დავინახეთ) რომ ქართველმა მამულიშვილმა (ბარე ასმა მაინც) გვერდი აუხვია სემინარიის შენობაში მოთავსებულ ქართველთა ამხანაგობის მაღაზია „ქართლს“, არ იყიდა იქ ხილი, არამედ ხეირი მისცა უცხო ტომის ვაჭარს და ხილი მისგან იყიდა. ნუთუ მართალია? დავიჯერო ამდენზე წავხდით?

მე გავიგე რომ ქართველი მამულიშვილები ახალი კლუბის წევრებია (იქ საცა საწევრო გადასახადი წელიწადში 10 მანეთია) და ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არა. ნუთუ მართალია?

მე გავიგე რომ ქართველ მამულიშვილებს უცხო ტომის ხალხის ბანკისაგან სესხულობენ ფუ-

ლებს და უცხოელებს ამდიდრებენ. ნუთუ მართალია? ჩვენ ეს არ გვჯერა, რადგან ბანკი ჩვენც გვაქვს საიმედო...

მე გავიგე რომ ჩვენი მამულიშვილები უცხო ტომის ადამიანთა მიერ გამართულ წარმოდგენებს ესწრება. ნუთუ ჩვენ არა გვაქვს ჩვენი თეატრი?

მე გავიგე რომ ჩვენი მამულიშვილები უცხო ტომის გაზეთებს კითხულობენ. არ გვჯერა, არა და არა!

მე გავიგე რომ ჩვენი ქალები და კაცები უცხო ტომის ხალხის მოღით ირთვებიან. არ დავიჯერებ, რადგან ჩვენცა გვაქვს ქამარ-ჩოხა და ჩიხტა-კობი. („ვაი საბრალოს ჩვენს „საქართველოს“ თქვენ დაუბადეთ მას სადიდებლათ?!“).

ტარანა.

ლ ა ლ ა ტ ი .

- სოფეიმან-ხანი. დიდ არს ალლაპი!
- ოთარ-ბეგ (თბილ-არს ალაგი ქალაქის მოურავისა. უკა-იუსუფი ტკბილ-არს ალაგი ბანკის დირექტორისა. ალ-კაზაკ (რბილ-არს ალაგი...)
- სოფეიმან-ხანი. (განრისხებული) რაო?
- სამივე კაჩის-კაჩნი. (ერთმანეთს გადახედავენ და ქედ-მოდრეკილათ) დიდ არს ალლაპი! დიდ არს ალლაპი!
- სოფეიმან-ხანი. (უფრო დამშვიდებულათ) ГОСПОДА! შორს მხედველია თვალი ჩემი და მახვილია ყური ჩემი. თქვენ ხართ ჩემი ბურჯი საქართველოში. თქვენი სიტყვები ყურს ასიამოვნებს, მაგრამ გულში მგონი ღალატი გაქვთ დამარხული.
- სამივე კაჩის-კაჩნი. (ერთ ხმათ) როგორ?! ჩვენ გულში ღალატი? ვფიცავთ ჩვენს წმინდა იდელებს, ვფიცავთ ჩვენს უანგარო მოღვაწეობას, ჩვენს უმწიკვლო სახელს, ვფიცავთ ჩვენს ცოლ-შვილს და ახლო ნათესავებს, რომ ჩვენ...
- სოფეიმან-ხანი. გმადლობთ, ბატონებო, გმადლობთ! თქვენი ერთგული სამსახური ჩემთვის არასოდეს საეჭვო არ ყოფილა, მხოლოდ შენ, Отаръ Алмасхановичъ!.. შენზე კი ვარ ცოტა გულნატკენი...
- ოთარ-ბეგ. მამულის სიამაყე და ნუგეშო ქართველთაო! ნუთუ შენ ოთარ-ბეგისა ყურებს

კვალად მოასმენ მაგ საყვედურებს? ნუ თუ სჭირია კიდევ აღნუსხვა ჩემს ნამოღვაწევს, ჩემს ნამსახურებს?! მე არ ვიყავი, გადავდე თავი, სამშობლოს ორგულთ გავაძვრე ტყავი?! მე არ ვიყავი, ვით ყორან-ყვაი თავს დავსჩხაოდი მამულის მტერსა! შენის დიდების დასამტკიცებლათ „შთაბეჭდილებებს“ გიძღვნიდი ბევრსა! მე არ ვიყავი, ვით თოვლის ზვაი ჩამოგწვებოდი ხან იქ, ხან აქა, გავანადგურე და გავაოხრე ზუბალაშვილის უხვა ბარაქა?! მე არ ვიყავი, როგორაც სვაი, გაუშაძდარი, სისხლ-მონაწყური, ყველა ნადიმზე შენს სადიდებლათ ვგრგვინავდი ყანწებ-გამონაწური, რომ შენი მართებთ მათ მორჩილება, რომ შენი მართებთ მათ სამსახური! და თუ, ძლიერო, შენს სადიდებლათ ესეც მცირეა შესაწირავი, მეც მსხვერპლი გავხდე, რაღას აყოენებ? აჰა მახვილი მომკვეთე თავი! (ამოიღებს დაქანგულსა და გატეხილ ხმალს).

სოფ. ხანი. (ხმლის დანახვაზე გული შეუწუხდება) რა არის, ოთარ აღმასხანოვიჩ, წამ დაუწუმ, რომ ხმალს აშიშვლებ ხოლმე; ძლივს დავიწნარე ნერვები... აი, ბიჭიკო ერისთავი შენზე ერთგულია; აი ნამდვილი, ნამდვილი მამულიშვილი! მას შვიდი ვაჟი ჰყავს, ხუთი ქალი. არცერთმა მათგანმა ქართული არ იცის. მან დასწერა 12 დრამა და 17 ტრაგედია, მან გაანადგურა ცხრა ამხანაგობა, თერთმეტი სავაჭრო საზოგადოება! მანვე მიჰყიდა ირანიდან ჩამოსულ „ხოლოკებს“ თავისი და სხვათა მამულები. ის შენზე ერთგულია, ოთარ-ბეგ—გორის ერისთავო! სიბრძნეძველის მეფის სოლემიანისა, მტვერია ჩვენის მბრძანებლის სიბრძნესთან!

ჯანა-იუსუფ. დიდ არ სიბრძნე ჩვენის მბრძანებლის სოლემიან ხანისა!

ოთარ-ბეგ. სცადე ჩვენი ერთგულება, დიდებულო მეფეო! ავამხედრებთ სრულიად დიდუბეს, ვერასა და კუკიას; აჯანყების ცეცხლს გავაღვივებთ სოლოლაქსა და ანჩის ხატში, მთაწმინდასა და ჩუღურეთში; ფეხზე დავაყენებთ ავლაბარსა და ნავთლუხს, ხარფუხსა და ნაძალადევს... შენ გვიწინამძღვრე, შენ გვიბრძანე, ლომო ივერიისავ, და გულით მოგართმევთ...

სოფ. ხანი. მოვა დრო და მიგისევე, ჯერ აღ-

რეა. ჩემის ბრძანებით ჩამოჯდები კოფე-ლაქისა. ყარა-იუსუფ!

ყარა-იუსუფ (თავდახრით) СЛУШАЮ, ბატონო!

სოფ. ხანი. დაამზადე მოწინავე წერილი. შენ თითონ წაიღებ რედაქციაში და თან დაავალებ კორექტურა ათჯერ გაუსწორონ. მომამბეზრა თავი ამდენმა კორექტურულმა შეცდომებმა! ოთარ! შენთვის მზათ არის ჰაეროპლანი ახმეტელოვისა, № 13: დღესვე გავფრინდები ქართლს და ამცნობ ქართლის დიდებულთ, რომ ჩვენ სხვათა დაუხმარებლათ, საკუთარის ძალით ხელში ჩავიგდებთ თფილის ქალაქს, რომ ქალაქის სამმართველოზე კვლავაფრიალდება ჩვენი დროშა! წადით! марш! (ოთარი და ყარა-იუსუფი გადიან. სოფ. ხანი იხდის ჩაღმას და გამოუჩნდება გახოტრილი თავი. მიაღდება მოაჯირს და გადახედავს მტკვარს. გრძნობა აეშლება, ხელებს აღაპყრობს და შესძახებს:)

სოფ. ხანი. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი; მრავალ დროების მოწამე ხარ მაგრამ ხარ პირუტყვი! (ქვითინებს)

აღ-ჩახავი. (თავისთვის) რა გულჩვილია! (სოფ. ხანს) დიდო ბატონო!

სოფ. ხანი. Ахь разакъ! Ты здѣсь? შენ დაინახე ყველაფერი?

აღ-ჩახავი. არაფერი დიდო ბატონო!

სოფ. ხანი. მონა ვერ უნდა ხედავდეს, რაც მისთვის დასანახი არ არის.

აღ-ჩახავი. რაც დასანახია ხელმწიფეო?

სოფ. ხანი. რა გინდა სთქვა?

აღ-ჩახავი. თუ შენი რისხვა...

სოფ. ხანი. Говори!..

აღ-ჩახავი. თვალო ივერიისავ! ისეთი სიზმარი ვნახე, რომ...

სოფ. ხანი. სთქვი, რაღას ყოყმობ! მებრძოლი რის მებრძოლია, თუ მტკიცეთ ვერ დახვდება ყოველგვარ გასაჭირს? სთქვი?

აღ-ჩახავი. (დაიწყებს ნელი ხმით და თან და თან უმატებს. ხანის სახეზე შიში იხატება, ბოლოს და ბოლოს კანკალსაც დააწყებინებს). წუხელ საღამოს, საიდუმლო კრების შემდეგ, სადაც ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს, ვითომ, ყველა ჩვენი სარდლები ქართულ კლუბში შეგვედით საქეფოთ. მშვენიერი ღამე იყო. ჩვენ ავირჩიეთ სტოლი და ვახშამი მოვითხო-

ვეთ. ოთარ-ბევი და ყარა-იუსუფი თქვენს მახლოობლით ისხდენ მარჯვნივ, უესმისთ მარჯვნივ. მე და რუქაია მარცხნივ. თქვენ მოითხოვეთ თეთრი „კახეთია“ № 6 და ყველანი შევთანხმდით, შავი ღვინო არ გვესვა, მაგრამ, როცა ელექტრონის სინათლემ იკლო, ოთარმა კაბის კალთიდან ამოაცურა ღამესავით შავი ბოთლი და ჩუმად თქვენს ქიქაში თეთრ ღვინოს შავი წვენი ჩაურია. ამასთან ერთად ყარა-იუსუფმა შენს სამარხლეში ამოაწო ჰური და ისე ჩაყლაპა. თქვენმა შორს მხედველმა თვალემა მყისვე შენიშნა პირველიცა და მეორეც. ზეზე წამოიჭერ დაჭრილ ლომივით და განაცხადე: „რომელნი ისხდენ მარჯვნივ ჩემისა, გასცენ საქმე ჩვენი“. თვალემაში მიაფურთხეთ ოთარსა და ყარა-იუსუფსა და განშორდით მათ...

სოფ. ხანი. ეგ შეუძლებელია, შეუძლებელია დალატი! ღმერთო ჩემო, განა ეს შესაძლებელია? არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი! (სტირის ჩუმი ქვითინით) გუშინდელი ზღაპრები მრევლისა მომეწონა. ერთი დაუძახე, შენს გაზდას!

აღ-ჩაყავ. რუქაისა, ხელმწიფეო? (ელექტრონის ზარს რეკავს, შტემოდის მსახური) დაუძახე რუქაისა! (მსახური გადის).

სოფ. ხანი. (ნელა ღიღინებს „прочь тоску“-ს ხმაზე).

აღ-ჩაყავი. (აპყვება სოლემიანს, ერთმანეთს უცქე-რიან და ღიმილით ღიღინობენ).

შემოდის რუქაია, ახალგაზდა პრანჭია ქალი, „მოდ-ნურათ“ ჩაცმული, სახე შეთხუზნული აქვს ფერ-უმაბრილით. რა დაინახავს, მღერიანო, თითონაც აპყვებს).

სოფ. ხანი. (როცა შეამჩნევს რუქაიას) სადაური ხარ, სად დაიბადე?

რუქაია. რა მოგახსენო, მბრძანებელო! პაპა გუბერნსკი პრისუსტვიაში მსახურებს, а мама нигде не служить. ჩემი გვარი... Чучуладзева.

სოფ. ხანი. ქუჭულაძისა, ქართველი ქალი ყოფილ-ხარ!

რუქაია. Да, я грузинка!

სოფ. ხანი. ვინ გასწავლა ზღაპრები?

რუქაია. უჩიტლებმა მასწავლეს. Я знаю такіа чудныа стихотворенія и басни, რომ პრო-

сто прелесты! გინდათ, გაამბობ რცკილისა და ჩინჩველას ამბავი? Очень весело! Только вниманіе!

სო. ხანი. Я—весь внимамніе, рассказывай.

რუქაია. Нуь, начинаю: რცკილი და ჩინჩველა ჰმ... подружились.

სოფ. ხანი. (გარინდული) რწყილი და ქიანქველა დაძმობილდენ!

რუქაია. მიადგენ ერთ ცკალსა. რცკილი ისკუბა, გადახტა. ჩინჩველი ისკუბა და ჩავარდა!

სოფ. ხანი. (გარინდული) რწყილი გადახტა, ქიან-ველა ჩავარდა!

რუქაია. რცკილი მონახა ლორი. გამარჯობა ლორო! მომეცი ე...ე...ე... ბალანი. Свиныа категорически отказала!

სოფ. ხანი. Свиныа категорически отказала!

რუქაია. რცკილი გავიდა მუხაზე. მუხა მომე რკო! მუხა არ მისცა. რცკილი ნახა კვაფი...

სოფ. ხანი. (შეაფრთხოლებს) ყვაფი?

რუქაია. Ну да, კვაფი.

სოფ. ხანი. (მნიშვნელოვანათ) რწყილმა ნახა ყვაფი! შემოიჭრება ალ რაზაკი).

აღ ჩაყავი. მეფეთ მეფეო!..

სოფ. ხანი. (წამოიჭრება) რა ამბავია?!

აღ ჩაყავი. შავმა ყორანმა დაგეჩხავლა. ოთარ ბე-გი და ყარა იუსუფი მტრებს შეუერთდენ... დალატია, დალატი!

სოფ. ხანი. (ბრაზ მორეული), ხვალ დილით ..(დამ-შვიდებით) ჩიი დამალევიენტ!

(ფარდა)

აღ. გუმბათაშვილი.*)



*) გთხოვთ ნუ აურევთ სუმბათაშვილთან.

ორი ეშმაკი.

(სამტრედიისთვის)

— ააა! ძლივს არ ველირსე შენს ნახვას, საიდან ძმობილო?

— ხონიდან, ხონიდან, მეგობარო! იქაურ ვაჭარ-მამულიშვილებთან ცოტა საქმე მქონდა, ხალხის გამოკვების შესახებ...

— როგორ! მამულიშვილებიც ზრუნავენ დამშეულთათვის?

— ზრუნავენ რომელია, ზრუნავენ მაშ!

— თუ ასეა პეტრეს წინააღმდეგ რად ამხედრებულან ვიღაც მოსიკო და კომპანია?

— რა გულუბრიყვლო ხარ. ვაჭრებს სწორედ რომ ბედი კარზე მოადგა, დამშეული გლეხები ჩაუვარდათ ხელში და თუ ახლა მათ რივიანათ ვერ გააძვრეს ტყავი, ღმერთმა იცის ასეთ „ბედნიერ“ დღეს როდის ეღირსებიან. და აი, რადგანაც ამ ვაჭართა საერთო მეჯლისის დროს, პეტრემ ხონში გახსნა კოოპერატივის საწყობი და სიმინდი ორი მანეთის მაგიერ მანეთად მიჰყიდა მცხოვრებთ. ამან ზიანი მიაყენა ვაჭრებს და მასთან ერთად ვაჭარ-მამულიშვილებსაც. დაირაზმენ პეტრეს წინააღმდეგ და სამშობლო განსაცდელში გამოაცხადეს.

— კი მარა მამულიშვილები!..

— ეეე, შენ ვერ გაიგე კიდევ! დამიგდე ყური: სამშობლოს ინტერესი მოითხოვს საკუთარი მრეწველობის განვითარებას და ეს კი ისე არ მოხდება; თუ ვაჭრებმა გლეხები არ გაყვლიფეს. ამ „ღიად“ ვაჭართა განმათავისუფლებელ მოძრაობას უთუოდ მამულიშვილები უნდა ჩაუდგენ სათავეში.

— აბა რაღას მეუბნებოდლი დამშეულ გლეხებზე ზრუნავენო?

— არა, მე დამშეული ვაჭრებზე ზრუნავენ თქო გითხარი.

— მე მინდოდა სამტრედიის ამბავი მეკითხა შენ კი ხონის მიამბე. შენ ერთი ეს მითხარი. ეგ მამულიშვილების „ობოლი“ რა ცოდვამ ატეხა ღობე ყორეს რო ედება?

— ხა ხა ხა!.. ყველაზე უფრო მეტი მუცლის გვრემა სამტრედიელ მამულიშვილთ აუტეხა პეტრემ. ომის გამოცხადების დღიდან აქაც ვაჭრებმა ქელეხი გამართეს გლეხების ზურგზე. შეიტყვეს: დარდანელი დაიკეტაო, ჩვენმა „სახელოვანმა“ მამულიშვილმა გ. სიხარულიძემ იწყო მა-

რილისა და სანოვაგის გადამალვა, რისთვისაც ოქმიც შეუდგინეს. ასე მოიქცენ ბევრი სხვა მამულიშვილი ვაჭრებიც. დაუწყეს ოსტატურათ ტყავის ძროხა გლეხებს; ალბათ ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესი და აქაური ვაჭარ-მამულიშვილებიც ასე იქცევიან. გაჩნდა პეტრე, დაარსდა კოოპერატივი. გაიმართა ბრძოლა და თუ წინათ ორ მანეთად ყიდდენ ფუთ სიმინდს, ახლა იძულებული შეიქნენ მანეთად გაჰყადონ. და განა მარტო სიმინდი?

— მაშ, ვერ მოითმინეს მამულიშვილებმა ასეთი მტერი და აი, სამშობლო განსაცდელში გამოაცხადეს. შეინძრა სამტრედიის ჭაობი! ხონელ მამულიშვილთ სამტრედიელი „კრებებიც“ გამოეხმაურენ და დაიწყეს საერთო იერიშები პეტრეს წინააღმდეგ.

— თუ „ობოლი“ ძველ სამტრედიის ვეკილებს ვერ იცნობს, მე გავაცნობ. გ. სიხარულიძე და ი. სტურუა ბრძანდებიან და ერთი ჯერ მათი ათი წლის სამტრედიის მოღვაწეობის ისტორია დაგვიწეროს და პეტრეს ერთი წლის მოღვაწეობაზე შემდეგ ილაპარაკოს, თორემ ისე „მეგობარის“ „ობოლს“ გაუხარია, მე გოგისა და ისიდორეს გული გავახარო, თუ მათ მოღვაწეობაზე დავიწყო წერა.

— არა ძმაო, დღეს რომ მამულიშვილთა ობოლები გამოსულან თავისი ლაშქართ ეს ცუდისმომასწავებელი ჰრაა... მეელი ცხვრის ქერქში თავს მუდამ ვერ დაიფარავს. სოციალისტურ სამოსელში გახვეული ჩვენი ვაჭრები, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან.

— კი, მარა ამ ისიდორეს ვინ აწუხებს რომ იძახის „ობოლი“ ღმერთმანი მე არ ვარო.

— ეეე, კაცო, უნდა რომ სთქვას მე ვარო. მართალია არავინ დაუჯერებს, რადგან ისიდორეს ისეთი აბლაუბდის დაწერაც კი არ შეუძლია. დავანებოთ ამას თავი. როგორც ხედავ დღეს კითხვა ასე ღვას: დაეთმოს ისედაც გაძვალტყავებული გლეხები გაუმადლარ ვაჭრებს (ადგილობრის მამულიშვილების ზედამხედველობის ქვეშ) უკანასკნელთა (ვაჭართა) მდგომარეობის გახაუმჯობესებლათ, თუ არა. პეტრე სასტიკი წინააღმდეგია დათბობისა. ჩემს აზრს კი შემდეგ მოგახსენებთ.

ალი.



„მეგობრის“ პრემიერი გრიგოლ ლალიძე.

ქუთათური გაზეთი „მეგობარი“ (ვინმე ობლის ბავით) პეტრე გელეიშვილის მოქმედებას „აკრიტიკებს“. მეგობრის აზრით არავის გარდა პრემიერ მინისტრისა, ნება არა აქვს პორთფელი ატაროს და თუ მაინდამაინც მეტიჩრობს და ატარებს არ აქვს უფლება დაჰკარგოს და თუ მაინდამაინც ღმერთი გაუწყობდა და დაჰკარგავს, დავკარგეო გაზეთით მაინც ვერ გაამხელს. თუ არ გჯერათ აი მოისმინეთ თვით „მეგობრიდან“ ამოწერილი სიტყვები: „ჯერ იყო და ჩამოსვლისათანავე არ გამოსულიყო 3—4 თვე მოცხო „თანამედროვე აზრის“ პირველ გვერდზე განცხადებები: „დავკარგე პორთფელი“. გეგონებოდათ ვილაც პრემიერ მინისტრის პორთფელი დაკარგულაო და ბოლოს მპოვნელს სთხოვედა გადაეცა სამტ. ვექილი—დიდრონი ასოებით დაწერილ „პეტრე გელეიშვილისათვის“. (მართლწერა ავტორის დასულია).

როგორც ხედავთ პეტრე გელეიშვილს სამტრედიის საზოგადოების მიერ არჩეულ ვექლს პორთფელი დაჰკარგვია და ამის შესახებ გაზეთში განცხადება დაუბეჭდვინებია და განცხადების ფასიც გადაუხდია. ცხადია, პეტრე რომ პრემიერ მინისტრი ყოფილიყო, მაშინ მას არც ფულის გადახდა დასჭირდებოდა. თუ ეს ასე არ არის წაიკითხეთ „მეგობრის“ იმავე ნომერში (№ 63) მეხუთე ახალი ამბავი: გრიგოლ ლალიძეს შაბათს ეტლში*) ჩარჩა პორთფელი, რადგან პორთფელში მოქცეულ ქალაქებს სხვისთვის გარდა პატრონისა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მპოვნელს ან მეეტლეს სთხოვს შემოიტანონ იგი „მეგობრის“ რედაქციაში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. კილაძის სახლში“.

ამაზე იტყვიან: „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“.

პრიტუ.

*) „თანამედროვე აზრში“ თუ მართა პეტრე გელეიშვილია დიდრონი ასოებით დაწერილი, „მეგობარში“ გრიგოლის გავლენით შაბათიც და ეტლიც განდიდებულია.

თფილისის საზოგადოების საყურადღებოთ.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ მომავალ დღესასწაულებსთვის გვაქვს საგანგებოთ დამზადებული კარგი ღირსების კვასი „ჩვენი გემო“ და ვურჩევთ პატივცემულ მხმარებლებს, რომ ამ ღვინის სიძვირის დროს ისარგებლონ ჩვენ მიერ დამზადებული კვასით.

„ჩვენი გემო“ არაფრით არ ჩამოუარდება დღევანდელ ზოგ ფირმების ღვინოებს და პირიქით ჯანმთელეობისათვის მეტი სარგებელიც არის და გაცილებით სჯობია სხვა მის გვარ სასმელებს; მეტადრე პურის ქამის დროს ძლიერ სასიამოვნო არის. ქარხნის ადრესი ჩერქეზოვის ქუჩა № 38 ქალაქის „ლეჩენიციის“ ქვეშ.

ვინც ათ ბოთლობით დაიკვეთს დაკლებულ ფასებში დაეთმობა. „ჩვენი გემო“ იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში და ბუტკებში.

ქარხანა ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათ. გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

პატივისცემით ამხანაგობა „ჩვენი გემო“.

გამოვიდა ბ. ეშმაკის მიერ შედგენილი და კანტორა „განათლების“ გამოცემა

ბლკანეთის ქარტა

ფასი ერთი აბაზი. პროვინციის აგენტებს დაეთმობა 15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Ольгинская 6. С. Таварткиладзе.

დაიბეჭდა და იყიდება კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა „განათლების“ მიერ გამოცემული 1916 წლის.

კედლის კალენდარი

კალენდარი დასურათხატებულია მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვეთა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе.

აღსასრული აღაშინის ტანჯვისა!

სუსუნათის წამლოჯა.

ნ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბქოს ნებართვით № 1295, სუსუნათის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდი“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდი“-ის პრეპარატი წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნათის მოსარჩენათ, და „რაპიდი“-ის შემწევობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნათის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ექვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამლოსაც, — ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდი“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდი“-ის ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მიეყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნათის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დაუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვთავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგელოდ.

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდი“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსახრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დაურწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნაგეგარადი 14 მარტი, 1914 წ.

პ. ბ. პ. ბ.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушзинская 3 отд. 3/м. верхний этажъ.

მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ქართული
ბიბლიოთეკა

უოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვებსები და სხვა.

♦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრასისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარჯვნივ არის დანიშნული და გულმეფიწყებს მოვავლობთ, რომ

♦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ♦